განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

13/11/2024

MES 4 24 0001462659

ბრძანება

თბილისი

,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 2 თებერვლის N105472 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის 2024 წლის 11 ნოემბრის N1446799 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 2 თებერვლის N105472 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამა (პროგრამული კოდი 32 04 02 06) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრი

ალექსანდრე წულაძე

ელექტრონული ხელმოწერის მიმდევრობა: მონიშნულია ბეჭდით „ელექტრონული შეტყობინება“

დანართი

სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს

პროგრამული კოდი - 32 04 02 06

2024 წელი

მუხლი 1.

1.1. პროგრამის დასახელება	**სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს**
1.2. პროგრამის განხორციელების ვადები	**2024 წელი**
1.3. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი	**15,946,800.00 ლარი**
1.4. პროგრამის ხელმძღვანელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი **ალექსანდრე წულაძე**
1.5 ბიუჯეტის განმკარგავი	უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი **მაია შუხოშვილი**
1.6 ოპერაციული მენეჯერები	**1.** ქვეპროგრამა "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" - სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ნათია ამაღლობელი** **2.** ქვეპროგრამა "დიმიტრი გულიას და კოსტა ხეთაგუროვის სტიპენდიები სტუდენტებს“ - სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ნათია ამაღლობელი** **3.** ქვეპროგრამა " სოციალური სტიპენდია გამყოფის ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტებისთვის" - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ეკა გვარამია**

მუხლი 2. პროგრამის აქტუალობა და მიზანი

პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნის მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას. პროგრამა ემსახურება სტუდენტთა სწავლის ხელშეწყობას და მოტივაციის ამაღლებას, მათთვის სახელმწიფო სტიპენდიების, ასევე, დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის მეშვეობით. „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს” პროგრამის მიზანია სტუდენტთა, მათ შორის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩარიცხულ სტუდენტთა, სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართულობის ხელშეწყობა და წახალისება. ასევე, განათლების ხელმისაწვდომობისა და შეუფერხებლად მიღებისათვის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების, რომლებიც სწავლობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებულ უნივერსიტეტებში: სსიპ -

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში და და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 29 დეკემბრის №1783716 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში პროგრამით განსაზღვრულ ვადაში წარადგინეს პორტალზე http://socreg.mes.gov.ge ელექტრონული განცხადება, სოციალური სტიპენდიით უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები

2023-2024 სასწავლო წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის და 2024-2025 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის სახელმწიფო სტიპენდიებით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაში ჩართული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული აქტიური სტატუსის მქონე და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აქტიური სტატუსის მქონე 5000 სტუდენტი.

დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიით 2023-2024 სასწავლო წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში უზრუნველყოფილი იქნება 4 სტუდენტი და 2024-2025 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში უზრუნველყოფილი იქნება 6 სტუდენტი.

2023 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის და 2024 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეების სოციალური სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება მე-3 ქვეპროგრამის მე-4 მუხლით განსაზღვრული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებულ უნივერსიტეტებში: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

პროგრამა განხორციელდება ქვეპროგრამების მეშვეობით:

- ✓ ქვეპროგრამა 1. სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს
- ✓ ქვეპროგრამა 2. დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს.
- ✓ ქვეპროგრამა 3. სოციალური სტიპენდია გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტებისთვის

მუხლი 5. სულ პროგრამის ბიუჯეტი

სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს	2024 წელი
სხვა ხარჯები	**15,946,800.00**

მუხლი 6. ქვეპროგრამების ბიუჯეტი

N	პროგრამა/ქვეპროგრამა	2024 წელი
	სულ ქვეპროგრამები	**15,946,800.00**
	სხვა ხარჯები	15,946,800.00
1	**სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს**	**15,000,000.00**
	სხვა ხარჯები	15,000,000.00
2	**დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს**	**13,800.00**
	სხვა ხარჯები	13,800.00
3	**სოციალური სტიპენდია გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტებისთვის**	**933,000.00**
	სხვა ხარჯები	933,000.00

მუხლი 7. პროგრამის შეფასების ინდიკატორები

7.1 საბაზისო მაჩვენებელი

- ✓ 2022-2023 სასწავლო წლის იანვრის და თებერვლის თვეებში სახელმწიფო სტიპენდიებით უზრუნველყოფილია 2930 სტუდენტი, 2022-2023 სასწავლო წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში სტიპენდიით უზრუნველყოფილია 2734 სტუდენტი, 2023-2024 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტიპენდიით უზრუნველყოფილია 5000 სტუდენტი;
- ✓ დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიით 2022-2023 სასწავლო წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში სტიპენდიით უზრუნველყოფილია 7 სტუდენტი და 2023-2024 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტიპენდიით უზრუნველყოფილია 4 სტუდენტი;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 01 თებერვლის N111148 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსების" პროგრამის ფარგლებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებული უნივერსიტეტების სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 329 სტუდენტი უზრუნველყოფილია 2023 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში სოციალური სტიპენდიით.

7.2 მიზნობრივი მაჩვენებელი

- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში და 2024-2025 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სახელმწიფო სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება 5000 სტუდენტი;
- ✓ დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიით 2023-2024 სასწავლო წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში უზრუნველყოფილი იქნება 4 სტუდენტი და 2024-2025 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში უზრუნველყოფილი იქნება 6 სტუდენტი;
- ✓ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებული უნივერსიტეტების სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ამ პროგრამის მე-3 ქვეპროგრამით განსაზღვრული სტუდენტების 100% უზრუნველყოფილი იქნება 2023 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის და 2024 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის და მაისის თვეებში სოციალური სტიპენდიით.

7.3. ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)

ცდომილების ალბათობა შეადგენს დაახლოებით 5%-ს.

7.4. შესაძლო რისკები

მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლები არ ირიცხებიან საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ან არ აკმაყოფილებენ პროგრამის მოთხოვნებს.
პროგრამაში ჩართული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების რაოდენობის ცვლილება 2023-2024 სასწავლო წლის სემესტრების მიხედვით.

სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს

პროგრამული კოდი - 32 04 02 06

2024 წელი

მუხლი 1. ქვეპროგრამის დასახელება და განხორციელების ვადები

1.1 ქვეპროგრამის დასახელება	სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს
1.2 ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	2024 წელი
1.3 ქვეპროგრამის ჯამური ბიუჯეტი	**15,000,000.00 ლარი**
1.4 ქვეპროგრამის ოპერაციული მენეჯერი	სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ნათია ამაღლობელი**

მუხლი 2. ქვეპროგრამის მიზანი

„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ქვეპროგრამის (შემდგომ - ქვეპროგრამა) მიზანია სტუდენტთა სასწავლო პროცესებში აქტიურად ჩართულობის ხელშეწყობა და წახალისება.

მუხლი 3. ქვეპროგრამის აღწერა

პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნის მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას. ქვეპროგრამა ემსახურება სტუდენტთა, მათ შორის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩარიცხული სტუდენტების სწავლის ხელშეწყობას და მოტივაციის ამაღლებას მათთვის სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნით.

მუხლი 4. ქვეპროგრამის მიზნობრივი ჯგუფი

1. ქვეპროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს:

ა) ქვეპროგრამაში ჩართული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები;

ბ) ქვეპროგრამაში ჩართული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩარიცხული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები, რომლებზეც „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 20[13] მუხლის თანახმად, გაცემულია პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი ან/და აღნიშნულ

პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე მინიჭებული აქვს პირადი ნომერი.

2. ქვეპროგრამაში ჩართულია ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები რომელთა საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს, ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (შემდგომ - სამინისტრო).

მუხლი 5. ქვეპროგრამის განხორციელების სტრატეგია

1. ქვეპროგრამაში ჩართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გამოეყოფათ ასიგნებები ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სტიპენდიებით უზრუნველსაყოფად.

2. ქვეპროგრამის მე-4 მუხლით გათვალისწინებული სტუდენტები 2024 წელს სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნებიან იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის, ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში.

3. სამინისტრო უფლებამოსილია, ქვეპროგრამის მე-4 მუხლით გათვალისწინებული სტუდენტების საერთო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია გამოითხოვოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან 2024 წლის პირველი აპრილის და პირველი ნოემბრის მდგომარეობით ქვეპროგრამაში ჩართული თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით.
4. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია სამინისტროს წარუდგინოს მოთხოვნიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. ქვეპროგრამაში ჩართულ, დანართი 1-ით განსაზღვრულ თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას 2024 წლის იანვრის და თებერვლის თვეების ასიგნებები გამოეყოფა 2023-2024 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე 5000 სტუდენტის სტიპენდიებით უზრუნველსაყოფად, თითოეული სტუდენტისთვის 300 ლარის ოდენობით თვეში, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 9 თებერვლის N150909 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 27 დეკემბრის №1769328 ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პირველი ქვეპროგრამის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დანართი №3-ის გათვალისწინებით.

6. ქვეპროგრამაში ჩართულ დანართი №2-ით განსაზღვრულ თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას 2024 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეების ასიგნებები გამოეყოფა 2023-2024 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში, 2024 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით ქვეპროგრამის მე-4 მუხლით გათვალისწინებული აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე 5000

სტუდენტის სტიპენდიებით უზრუნველსაყოფად, თითოეული სტუდენტისთვის 300 ლარის ოდენობით თვეში.

7. ქვეპროგრამაში ჩართულ დანართი №3-ით განსაზღვრულ თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას 2024 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეების ასიგნებები გამოეყოფა 2024-2025 სასწავლო წლის პირველ სემესტრში, 2024 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით ქვეპროგრამის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე 5000 სტუდენტის სტიპენდიებით უზრუნველსაყოფად, თითოეული სტუდენტისთვის 300 ლარის ოდენობით თვეში.

8. ქვეპროგრამაში ჩართულ, თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული 5000 ადგილი პროპორციულად გადაუნაწილდება ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ქვეპროგრამის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის გათვალისწინებით.

9. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ამ მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად სამინისტროს მიერ მისთვის გამოყოფილი სტიპენდიანტების რაოდენობა პროპორციულად გადაანაწილოს ფაკულტეტების მიხედვით, აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის გათვალისწინებით.

10. ამ მუხლის მე-6- მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ სტიპენდიანტთა შერჩევას ქვეპროგრამაში ჩართული თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სტიპენდიანტთა რაოდენობის ფარგლებში ახორციელებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ამ მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტებით გამოთვლილი ქულების რანჟირებით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ.

11. სტიპენდია ენიშნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატებულ სტუდენტს, თუ მას წინა სემესტრში სრულად აქვს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამით სემესტრისთვის განსაზღვრული კრედიტები და წინა სემესტრის შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულა შეადგენს 91 ქულას და მეტს. ამასთან, საშუალო არითმეტიკულ ქულას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ემატება შესაბამისი ქულები:

- წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებში (თითო აქტივობა ფასდება 5 ქულით, მაგრამ არაუმეტეს ჯამური 10 ქულისა).

- წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული სასწავლო სტუდენტურ აქტივობებში (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური, შემოქმედებით-კულტურული ან სპორტული ღონისძიებები (თითო აქტივობა ფასდება 1 ქულით), იმიტირებული სასამართლო პროცესი (აქტივობა ფასდება 2 ქულით).

- განეკუთვნება სოციალურად მოწყვლად ჯგუფს (რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ოჯახის სარეიტინგო ქულით 70000 და ნაკლები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან სპეციალური საჭიროების მქონე პირი; მაღალმთიანი სტატუსის დასახლებაში მცხოვრები, ობოლი (უდედმამო), მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (4 და მეტი შვილი),

სტუდენტები ოკუპირებული ტერიტორიებიდან, (თითოეული ჯგუფის კუთვნილებისას ემატება 1 ქულა).

12. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სრულად ვერ აითვისებს სამინისტროს მიერ აღნიშნული უნივერსიტეტისთვის გამოყოფილ სტიპენდიატთა რაოდენობას, აუთვისებელი სტიპენდიების რაოდენობის ფარგლებში სტიპენდია დაენიშნება სტუდენტს, რომლის წინა სემესტრის შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულა ნაკლებია 91 ქულაზე. ამასთან, საშუალო არითმეტიკულ ქულას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ემატება შესაბამისი ქულები:

- წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებში (თითო აქტივობა ფასდება 5 ქულით, მაგრამ არაუმეტეს ჯამური 10 ქულისა).

- წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული სასწავლო სტუდენტურ აქტივობებში (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური, შემოქმედებით-კულტურული ან სპორტული ღონისძიებები (თითო აქტივობა ფასდება 1 ქულით), იმიტირებული სასამართლო პროცესი (ფასდება 2 ქულით).

- განეკუთვნება სოციალურად მოწყვლად ჯგუფს (რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ოჯახის სარეიტინგო ქულით 70000 და ნაკლები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან სპეციალური საჭიროების მქონე პირი; მაღალმთიანი სტატუსის დასახლებაში მცხოვრები, ობოლი (უდედმამო), მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (4 და მეტი შვილი), სტუდენტები ოკუპირებული ტერიტორიებიდან, (თითოეული ჯგუფის კუთვნილებისას ემატება 1 ქულა).

13. მე-11 და მე-12 პუნქტებით განსაზღვრულ სტიპენდიანტთა შერჩევისას, თუ ბოლო ადგილზე თანაბარი ქულა აქვს რამდენიმე სტუდენტს, უპირატესობა მიენიჭება შემდეგ თანმიმდევრობას:

- წინა სემესტრის შეფასების მაღალ საშუალო არითმეტიკულ ქულას;

- სოციალურად მოწყვლად ჯგუფს;

- სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობას;

- სასწავლო სტუდენტურ აქტივობებში მონაწილეობას.

14. სტიპენდიით დაფინანსების უფლების მქონე პირთა განსაზღვრა ხორციელდება ყოველი სემესტრის დასაწყისში, წინა სემესტრის მონაცემების საფუძველზე.

15. ქვეპროგრამაში ჩართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტიპენდიის მფლობელი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტისას სტიპენდიის გაცემა შეწყდება.

16. ამ მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაუცემელი თანხის სხვა სტუდენტისთვის სტიპენდიის სახით დანიშვნის შესახებ.

17. ქვეპროგრამის მონიტორინგს ახორციელებს სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველო.

18. უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტი მონიტორინგის ფარგლებში უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გამოითხოვოს, ხოლო უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია მიაწოდოს დეპარტამენტს, ქვეპროგრამის - „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ინფორმაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემები, შერჩეულ სტიპენდიანტ სტუდენტთა შესახებ და ა.შ.

19. უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან გამოითხოვოს, ხოლო სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ვალდებულია მიაწოდოს დეპარტამენტს, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დაცული ინფორმაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემები, სტუდენტების შესახებ.

მუხლი 6. მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

2023-2024 სასწავლო წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში და 2024-2025 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სახელმწიფო სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება ქვეპროგრამაში ჩართული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული აქტიური სტატუსის მქონე და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩარიცხული აქტიური სტატუსის მქონე 5000 სტუდენტი.

მუხლი 7. ქვეპროგრამის სპეციფიური ამოცანები, ვადები და შესაბამისი აქტივობები

N	ამოცანა/შედეგი	აქტივობები	ვადები
1	2024 წლის იანვრის და თებერვლის თვეებში სტუდენტთა სტიპენდიით უზრუნველყოფა	1.1 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დაფინანსების მოცულობების განსაზღვრა	2024 წლის იანვარი-თებერვალი
2	2024 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში სტუდენტთა სტიპენდიით უზრუნველყოფა	2.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სტიპენდიანტთა რაოდენობის და დაფინანსების მოცულობის განსაზღვრა; 2.2 სტიპენდიანტთა შერჩევა.	2024 წლის აპრილი-ივლისი
3	2024 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტუდენტთა	3.1 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სტიპენდიანტთა რაოდენობის და	2024 წლის ნოემბერი-დეკემბერი

	სტიპენდიით უზრუნველყოფა	დაფინანსების მოცულობის განსაზღვრა; 3.2 სტიპენდიანტთა შერჩევა.	

მუხლი 8. ქვეპროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციები/ვალდებულებები

N	პასუხისმგებელი უწყება/სტრუქტურული ერთეული/ პოზიცია	ფუნქციები/ვალდებულება
1	სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველო	- გამოითხოვს ინფორმაციას სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან 2024 წლის პირველი აპრილის და პირველი ნოემბრის მდგომარეობით; - უზრუნველყოფს სტიპენდიანტთა რაოდენობის და თანხის ოდენობის განსაზღვრას, ასევე ქვეპროგრამის მონიტორინგს.
2	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	უზრუნველყოფს ქვეპროგრამით განსაზღვრული ინფორმაციის სამინისტროში წარდგენას 2024 წლის პირველი აპრილის და პირველი ნოემბრის მდგომარეობით.
3	სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი	ფინანსური უზრუნველყოფა.
4	სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი	შესაბამისი ინიცირების საფუძველზე მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადება.
5	ქვეპროგრამაში ჩართული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები	უზრუნველყოფენ სტიპენდიანტთა შერჩევას მე-5 მუხლის მე-5-მე-13 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით, მათზე სტიპენდიების გაცემას და სამინისტროსთვის მოთხოვნილი დოკუმენტების მიწოდებას.

მუხლი 9. ქვეპროგრამის ბიუჯეტი

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	2024 წელი
32 04 02 06	**სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს**	**15,000,000.00**

	სხვა ხარჯები	15,000,000.00

მუხლი 10. მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები მიმდინარე წლისთვის

10.1 საბაზისო მაჩვენებელი - არსებული რეალობის ამსახველი ინდიკატორი

- ✓ 2022-2023 სასწავლო წლის იანვრის და თებერვლის თვეებში სტიპენდიებით უზრუნველყოფილია 2930 სტუდენტი;
- ✓ 2022-2023 სასწავლო წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში სტიპენდიით უზრუნველყოფილია 2734 სტუდენტი;
- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტიპენდიით უზრუნველყოფილია 5000 სტუდენტი.

10.2. მიზნობრივი მაჩვენებელი

2023-2024 სასწავლო წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის და ივლისის თვეებში და 2024-2025 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება 5000 სტუდენტი.

10.3. ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)

ცდომილების ალბათობა შეადგენს დაახლოებით 5%-ს.

10.4. შესაძლო რისკები

მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლები არ აკმაყოფილებენ პროგრამის მოთხოვნებს.

დანართი 1

ქვეპროგრამაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის 2024 წლის იანვრის და თებერვლის თვეებში გამოყოფილი ასიგნებები

N	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	2023-2024 სასწავლო წელს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობა 2023 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით	სტიპენდიანტთა რაოდენობა	ერთი თვის თანხა (ლარი)	ორი თვის თანხა (ლარი)
1	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	7 935	504	151,200.00	302,400.00
2	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	5 765	366	109,800.00	219,600.00
3	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1 675	107	32,100.00	64,200.00
4	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	5 654	359	107,700.00	215,400.00
5	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1 539	98	29,400.00	58,800.00
6	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	20 934	1330	399,000.00	798,000.00
7	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	13 996	889	266,700.00	533,400.00
8	სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1 556	99	29,700.00	59,400.00

9	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	15 773	1002	300,600.00	601,200.00
10	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2 903	185	55,500.00	111,000.00
11	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	953	61	18,300.00	36,600.00
სულ		**78 683**	**5 000**	**1,500,000.00**	**3,000,000.00**

დანართი 2

ქვეპროგრამაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის 2024 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში გამოყოფილი ასიგნებები

N	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	2023-2024 სასწავლო წელს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობა 2024 წლის 1 აპრილის მდგომარეობით	სტიპენდიანტთა რაოდენობა	ერთი თვის თანხა (ლარი)	ხუთი თვის თანხა (ლარი)
1	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	7 438	517	155,100.00	775,500.00
2	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	5 617	390	117,000.00	585,000.00
3	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1 550	108	32,400.00	162,000.00
4	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	5 255	365	109,500.00	547,500.00
5	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1 305	91	27,300.00	136,500.00

6	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	19 046	1323	396,900.00	1,984,500.00
7	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	12 716	884	265,200.00	1,326,000.00
8	სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1 468	102	30,600.00	153,000.00
9	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	13 952	970	291,000.00	1,455,000.00
10	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2 711	188	56,400.00	282,000.00
11	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	895	62	18,600.00	93,000.00
სულ		**71 953**	**5 000**	**1,500,000.00**	**7,500,000.00**

დანართი 3

ქვეპროგრამაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის 2024 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში გამოყოფილი ასიგნებები

N	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	2024-2025 სასწავლო წელს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობა 2024 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით	სტიპენდიანტთა რაოდენობა	ერთი თვის თანხა (ლარი)	სამი თვის თანხა (ლარი)
1	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	7794	500	150,000.00	450,000.00
2	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	5869	376	112,800.00	338,400.00
3	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1858	119	35,700.00	107,100.00
4	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	5024	322	96,600.00	289,800.00
5	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1272	81	24,300.00	72,900.00
6	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	21130	1354	406,200.00	1,218,600.00
7	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	14054	901	270,300.00	810,900.00

8	სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1566	100	30,000.00	90,000.00
9	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	15579	999	299,700.00	899,100.00
10	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2912	187	56,100.00	168,300.00
11	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი	946	61	18,300.00	54,900.00
სულ		**78004**	**5000**	1,500,000.00	4,500,000.00